სამშაბათი, 1918 წ. იანვარის 30 (12) № 24

ფასი 20 კაპ.

ფილიფადი მეოთხე

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმართებელი გამოგზავნილი მასალა უდასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. საორგანიზაციო საქმეების გამო პირადადი მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ეკონომია. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის მისამართი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორკერდ მეტია. ხანგრძლივი განცხადება თითოეულ ხაზისა: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ლირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულადი და შეტანილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოგზავნილ იქნეს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა დიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-ზედ.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ინოგენი:

რუსეთსა და გერმანეთის შორის საზავო მოლაპარაკება შესწყდა. თათრებმა იალტა დაიჭირეს და სევასტოპოლზე მიდიან.—ტუაფსე ბოლშევიკების ხელშია. კორნილოვის ჯარი ტაგანროგის მიმართულებით მოქმედობს. ეკატერინოდართან ბრძოლაში დასჭრეს ნოვოროსიისკის სამხედრო მინისტრი სირაძე. ოსმალეთი ასურეთის პატრიარქს რუსეთთან საბრძოლველად აქეზებს.—ადერბეიჯანში გერმანეთისა და ოსმალეთის მომხრენი სომხის სამხედრო ნაწილების შედგენას ებრძვიან.

წერილები:

გრ. ვეშაპელი. საქართველოს დროებითი მთავრობა.
ა. ასათიანი. კომისარიატის უძლურების შედეგი.
გივი გოლლენდ. სოციალისტების სახელმწეფოებრივი უძლურება.
სომხური პრესა. დაშნაკელები და სოციალდემოკრატები.
მ. ვართაგავა. სული ახალის საქართველოსი. ნ. ბარათაშვილი

მეორე ქართული დივიზიის მოწოდება.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი
იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღია ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმავლობაში შეიძლება რაიგორც ცნობების მიღება, ისე წერილად ნაწერი და შემოწირულობა შეტანა.

26 იანვარს, სოფელ ზემო ნიჩბისში ტრადიკულათ მოჰკლეს
პონტანტინე (პოტე) გრიგოლის ძე
ციციშვილი
რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დეფა ლუდმილა, ძმა ვალოდია (ალიდო), დაი კატო და რძალი ნატალია ციციშვილები და მიძაშვილები ანჩელი და ლეონი ციციშვილები.
პანაშვიდი დღეს, ქვაშვეთის ეკლესიაში 11 საათზედ.
1—991—1

სოფიო ეგორის ასული, მელანია ივანეს ასული, ალექსანდრე ილიას ძე ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათ ძვირფას პირველის შვილის, მეორეს კმრის დაუკანასკნელი ძვირფასი შამის
ილია (ილიკო) გიორგის ძე
ციციშვილის
მეშვიდე დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ქაშვეთის ეკლესიაში 11 საათზე.
1—993—1

ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, მთავარ კომიტეტში დანიშნულია
ეროვნულ-დემოკრატ
სტუდენტია კრება
2—1

ოთხშაბათს 31 იანვარს 7 საათზედ
დანიშნულია სამეურნეო ბანკის თბილისის
მეორე რაიონის
წევრთა კრება. გთხოვთ ყველას დაესწროთ.
კრების საგანი:
ა) მოხსენება კონფერენციის შესახებ.
ბ) მიმდინარე მომენტი.
გ) არჩევნები რაიონის კომიტეტის თავმჯდომარისა და რამდენიმე სხვა წევრთა.
2—1

ქართული კლუბი
ქართული დრამ. წარმოდგენა № 30.
ხუთშაბათს 1 თებერვალს, 1918 წ. თბ. ქარ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება
I
გაწყვეტილი ჯაჭვი
3 მოქმედებაში.
II
მათიკო
მე-3-მე მოქმ. ა. ცაგარლისა.
მონაწილეობენ—ქალნი: ანაშაძე ტ., ქიქოძე ა.; ვაჟნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხანაშვილი ი., იშხნელი გ., იმედაშვილი ა., ქავთიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., შალიკაშვილი გ., ციციშვილი კ., სარაული ბ.
რეჟისორი გალ. შალიკაშვილი.
1—901—1
დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.

ექიმი
დიმიტრი (რამენ) იოსებიანის ძე
ყოფრდანია
სწავლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ჰალარია და ქრონიკული ტრაპერი
საღამოს 5—7 საათ. ვერის გორდ. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
თ—960—8

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.
იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხიტერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლდას ქუჩა № 22.
თ—989—2

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფ. ყოველ დღე გარდ. კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. ფინების ქუჩა № 41
ტელეფონი № 15—09

ექიმი
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპენები) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პრეს. პეტერ № 116 სასტუმრო „ნინოს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის—ჰულების და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო სანათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა ხდება. დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დამსენელისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოთორაკსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 6—92.
თ—986—2

სამკურნალო კაბინეთი
კ. ს.
ფონ-ირტელისა
ქირურგიულ-ვენერულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დღისით და 4½—8 საღამოთი. მიხეილოვის პროსპექტის კუთხე № 128, ერეკლოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესასვლელი ერეკლოვის ქუჩით.
თ—920—28

ექიმი
ალექსანდრე ფ. ჩაბანისა
მოსე ანთიმოსის ძე
ბალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. ბალნეოლოგიურ კურორტისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ეკონომიური
ბანკი
ბანკირი
ალექსანდრ ალექსის ძე
ბოლოკინ
ბანკირ
ალექსანდრ ალექსის ძე
ბოლოკინ

საქართველოს დროებითი მთავრობა

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე კონფერენციამ პოლიტიკური მომენტისა და ეროვნულ საბჭოს შესახებ შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: „დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნეს საქართველოს დროებითი მთავრობა, რომელიც შეჰკრებს ძალიერ ლაშქარსა და ფინანსებს, დაიცავს ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს ზავის ჩამოგდების დროს და მოიწვევს საქართველოს დამფუძნებელ კრებას. საქართველოს მთავრობის ორგანიზაცია და ეროვნულ საბჭოს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს მთელი ერის სახელმწიფოებრივი ინტერესის მიხედვითო“.

ამ დადგენილების ფუძე-აზრი ის არის რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების იდეა, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ მთელს ქართველობას გაერთიანებს; რეალურ ჩარჩოში ჩაიყენა და საორგანიზაციო ლოზუნგი პრაქტიკულ პოლიტიკის საქმედ იქცა.

მართლაც, თუ ამიერ-კავკასიის ერების პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობა შეუძლებელად ჰქმნის მთელ ამიერ-კავკასიის პარლამენტისა და მთავრობის არსებობას და თუ საშინაო და საგარეო საფრთხისაგან თავის-დასაღწევად ინტეგრინაციონალების მაგიერ ეროვნულ ძალთა მობილიზაცია არის საჭირო,—მაშ დამფუძნებელ კრების ლოზუნგი არ იკმარებს.

სანამ სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბება, სანამ იგი კრება ეროვნულ კონსტიტუციას დამტკიცებს, სანამ იგი საქართველოს მთავრობას შეადგენს, მანამ ჩვენ სამშობლოს სომხეთზე უარესი ბედი ეწევა.

ვისაც საქართველოს დამფუძნებელი კრების სუვერენიტეტი სწამს, მან ქართული დროებითი მთავრობის დიქტატურაც უნდა იწამოს. მხოლოდ ამ დიქტატურით შეიძლება შეგნებული ეროვნულ გვარლიის შედგენა და მხოლოდ ამ გზით შეძლება საქართველოს დამფუძნებელ კრების სახელმწიფოებრივი შენებისათვის საჭირო ფიზიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ძალთა იძულებითი მობილიზაცია.

ჩვენთან შედარებით მრავალჯერ მეტი ძალები აქვს დაგროვილი უკრაინის რადას, მაგრამ ამ ძალებითაც ვერ მოახერხა სრულიად უკრაინის დამფუძნებელ კრების შეკრება, ორჯერ მოიწვიეს იგი, ორჯერვე გადადეს და ბოლოს დამოუკიდებლობის უნივერსალიც ისეთ „ზევიდან“ გამოაცხადეს, როგორც პირველი ავტონომიის უნივერსალი... შვიდასი წლის წინად დავით აღმაშენებელმა საქართველო რომ ააშენა, ჯერ კარი და ხაზინა შეჰქმნა და „დამფუძნებელი“ (მაშინ საეკლესიო) კრებები მერმე გამართა.

ვინ და როგორ უნდა შეადგინოს დღეს საქართველოს დროებითი მთავრობა?

ჩვენ გვყავს ეროვნული კრების მიერ არჩეული ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი. ეს, ისე რომ ვსთქვათ, საქართველოს წინასწარი პარლამენტიც არის და საქართველოს წინასწარი მთავრობაც. მაგრამ თუ დღეს ვერც ეროვნული საბჭო პარლამენტობს და ვერც მისი კომიტეტი მინისტრობს,—ეროვნული საბჭო ვერც ხვალ შესძლებს საპარლამენტო და სამინისტრო ძალაუფლების განხორციელებას, თუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების ვინაობის გარდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციაც არ მოხდა სახელმწიფოებრივი წესით და ამავე საბჭოს სახელმწიფოებრივი წესით არ მოხდა ეროვნული მთავრობის ორგანიზაცია. ეს ის სახელმწიფო-

სოფ. გეზაოს, 1 თებერვალს, დილის 10 საათზედ დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილ
გრიგოლ ლევანის ძე
პოკერიასი
რასაც ეცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები: პოლიკარპე, გერასიმი, ვეგენი და ალექსი ბოკერიები, ძმა: ქრისტინე, ლიზა, ელისაბეთ და ქეთევან ბოკერიებისა, ძმა და რძალი კალისტრატე და მარია ბოკერიები.
2—988—2

ნინო დურმიშხანის ასული მაჭარაშვილი შვილებითურთ უძღვნის გულითად მადლობას ქართულ პოლკის ყველა ნაწილებს, თბილისის კადეტთა კორპუსის კადეტებს, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტების საბჭოს, გორის ვაჟთა გიმნაზიას, ყველა მეგობრებს, ნაცნობებს, რომელთაც კეთილი სული ფიცეს ფიზიკურად დაუჭეროს შვილის ქართული ცხენოსანთა სასთო ბატალიონის და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტის
ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე
მაჭარაშვილს
დაესწრნენ პარაკლისს, გამოსვენებას, დაკრძალვას და ნუაფში გვიცის დეპეშებით და წერილებით.
1-990-1

ლრმად დამწუხრებულნი ქვრივი ნინო გიორგის ასული კნ. ფავლენი შვილისა შვილებით, ძმები ალექსანდრე და ილარიონ გიორგის ძენი და რძალი ბარბარე ალექსანდრეს ასული შვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ივნვრის ოცდაათში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ძვირფასის და ძეგლ წყარის პოლკოვნიკი
თავ. ვასილ გიორგის ძე
ფავლენიშვილის
სულის მოსახსენებლათ დღის ორ საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.
(1—992—1)

ცოლი ეფროსინე, შვილები: შალვა, ბიბიანი, ნიკოლოზი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი მამის
ნიკოლოზ ვასილის ძის
ოდიშარიას
გარდაცვალებას.
დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ებრივი წესია, რომელიც მოითხოვს, რომ მთავრობაში წარმოდგენილი იყოს ერის ყოველი ცხოველი სოციალური ძალა, მიუხედავად ამა თუ იმ სოციალისტურ პარტიის საარჩევნო ხმების ფორს-მაჟორისა...

მხოლოდ ასეთი ეროვნული და დემოკრატიული მთავრობა შესძლებს სახელმწიფოს შინ საჭირო ბრძანებლობას და დიქტატორობას, თუ ეროვნული ენტუზიაზმი არ ეყო ეროვნულ ლაშქრისა და ხაზინის შეკრებას. მარტო მორალური ავტორიტეტით არც ერთი სახელმწიფო არ აშენებულა, არა თუ აზიაში, არამედ ევროპაშიაც... სადაც მორალურ გავლენისათვის საჭირო ფსიხოლოგიური ნიადაგი არ არის, იქ სახელმწიფოს მმართველმა დეკლარაციას კი არა, ფიზიკურ ძალას უნდა მიმართოს, რომ ურჩი მოქალაქენი ჭკუაზე მოიყვანოს.

არა ნაკლები წონა ექნება ასეთ მთავრობას სახელმწიფო საზღვრების გარეშე, საქართველოს სუვერენულ უფლებათა დასაცავად სუპარატიული ან საერთაშორისო ზაფის ჩამოგდების დროს...

თუ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებისას გერმანელთის დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამა თუ იმ ერის პოლიტიკური ნებისყოფის გამოსათქმელად რეფერენდუმის მაგიერ საესებით საკმარისია ფართო წარმომადგენლობითი წესით არჩეულ ეროვნულ კრებათა, საბჭოთა გადაწყვეტილებათ,—ცხადია, საქართველოს ეროვნულ კრებისგან არჩეული საბჭოს ხმა და ეროვნულ საბჭოსგან შედგენილ მთავრობის ნება არა ნაკლები ავტორიტეტი იქნება როგორც გერმანეთის, ისე მის მოპირდაპირე კოალიციისათვის, ვიდრე ბალტიკის რომელიმე ერის ხმა.

ასეთი განმარტება სჭირია დღეს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევის ლოზუნგს. მარტო მოწვევა არაფერად ღირს, თუ მას წინ არ წაუმძღვარეთ საქართველოს დროებითი მთავრობის შედგენა.

ეს უკანასკნელი მავთულის ხლართია, რომელიც უნდა გაიაროს ქართველი ერის პოლიტიკამ ნამდვილი სახელმწიფოებრივი შენება რომ დაიწყოს. საქართველოს პოლიტიკამ ჯერ-ჯერობით ისეთი მავთულიანი ხლართები, როგორიც იყო ინტერპატიული საბჭო და ეროვნული კრება. ორივე აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. და ორივეს წინ უსწროობდა დროებითი შეჩერება, დროებითი კრიზისი ეროვნულ პოლიტიკის მაჯისცემისა. მაგრამ ეს კრიზისი ორჯერვე ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებით გათავდა. ახლაც ასე იქნება: ის იერიში, რომელიც მოაქვთ დღეს ეროვნულ საბჭოზე ბოლშევიკების და სოციალისტ-რევოლუციონერთა კომიტეტებს ზოგიერთ შეუსმენელ ჭირვეულ მენშევიკთან ერთად, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სარევოლიუციო ცენტრების ძალა თანდათან ილევა და იგი ეროვნულ საბჭოებში იკრიფება. ამას იქით ვერც ინტერნაციონალური სარევოლიუციო ცენტრები იხეირებენ და ვერც ჟორდანიას და სულთანოვის სამოქალაქო ქორწინებაში დაბადებული ინტერნაციონალური სეიმი... ევგენი გეგეჭკორის კომისარიატმა, რომელიც სხვა და სხვა პარტიების დელეგაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამინისტრო კაბინეთს, საბოლოოდ დაამტკიცა რომ ამიერ კავკასიის ერების სოციალ-პოლიტიკური ძალთა განწყობილება ინტერნაციონალს კი არა, მხოლოდ ნაციონალურს მთავრობებს ეგუება. დღეს არა თუ ინტერნაციონალური კომისარიატი, თვით სოციალ-დემოკრატიული და ს. რ. ეროლიუციონური ინტერნაციონალური პარტიები ირღვევა და ნაციონალურ ფრაქციებად იყოფა.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბელადების ხელშია დღეს მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება თუ არა, მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი მაინც. და სწორედ ამ ბელადებს ჰმართებთ თავის დადწევა იმ სიზმრისა და კოშმარისაგან, რომელსაც განიცდის დღეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ქართველი ხალხის უმრავლესობა. ძნელია ლამაზი სიზმრის მიტოვება, კიდევ უფრო ძნელია ჯეშურისგან თავის დაღწევა, მაგრამ სხვა ხსნა არ არის, თავს ძალა უნდა დაატანონ, გამოიფვიძონ, შეჰხედონ სინამდვილეს პირდაპირ თვალში და იმ ენით ალაპარაკდნენ, რა ენასაც ცხოვრების უდმობელი სიმართლე კარნახობს. მაშინ ამ მართალ ენას ალბათ მრავალ-რიცხოვანი სოციალ-დემოკრატიული პარტია, მთელი ქართველი ერიც გაიგებს და გაუგონებს კიდეც იმას, ვისაც უნდა გაუგონოს.

ქართველი ერი თავის საკუთარ მთავრობას ელის.

ბ. ვეშაპელი.

პოლისარიატის უძლურების შედეგი

ფანატიზმით გაბოროტებული რაზმები კვლავ უახლოვდება საქართველოს დედა-ქალაქს მრისხანე მუქარით. აოხრების, განადგურების და საერთო ანარქიის საშინელი აჩრდილი გვიდგება თვალ წინ.

ვინ უნდა დაიცვას საქართველოს მიწა-წყალი და ქართველი ხალხის არსებობა? მთავრობამ, რომელიც წარმოშვა ქართველმა დემოკრატიამ და რომელიც ერთი წელიწადია ქართველ ერში ჰპოულობს საციცოცხლო ძალებს, სამოქმედო ენერგიას—ამიერ-კავკასიის კომისარიატმა.

ჰყავს თუ არა მას ამისთვის საკმარი ძალები, ეს მის საიდუმლოებას შეადგენს. ჩვენ მხოლოდ ვიტყვით—ძნიმეა პასუხის მგებლობა, როდესაც ბედის სასწორზე სამინისტრო პორთფელები კი არ აწყვია მხოლოდ, არამედ მთელი ერის საციცოცხლო ინტერესები და მისი არსებობის ყოფნა არ ყოფნა. ბოლშევიკებისაგან თავის დახწევა და გაქცევა არ არის ძნელი, ხოლო ერის წინაშე პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა.

თუ ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობის ძლიერება სხვა და სხვა საბჭოებისა და ცენტრებზე გამოტანილ რეზოლიუციებით განისაზღვრება, დროებითი შეიგნოს მან თვისი უძლურება და თავის ნებით აღაროს მმართველობის ძალა-უფლება.

ან იქნებ მან შესაძლებლად მიიჩნიოს ბოლშევიკებთან დავის გადაწყვეტა მორიგებით, შეთანხმებით, შესაძლო დათმობით და თავის უნიათო პოლიტიკის გაბალშევიკებით? გუშინ მოელოდენ ისინი ბოლშევიკების დესპანებს მათი მოთხოვნილებებით. კომისარიატმა უნდა უწყიდეს, რომ ეს იქნება ჩვენი და ჩვენ მეზობელ ერთა უფლებების შელახვა და აბუჩად აგდება. გვეყოფა სახიფათო ექსპერიმენტები და უპასუხისმგებლო პოლიტიკური დოდის წარმოება. ქართველი ერი ვერაფის ვერ მისცემს ნებას, რომ ვერეშჩაგებმა და შაუმიანებმა მის ხარჯზე და საქართველოს მიწა-წყალზე გადასწყვიტონ ბოლშევიზმ-მენშევიზმის სადაო კითხვები. ამისთვის მათ სხვა ადგილი მოსძებნონ ვრცელს რუსეთის იმპერიაში. და თუ ქართველს ერს სამტრედ მოევლინებიან, დაე თვით მან დაიცვას თავისი თავი, თვისი თავისუფლება. ცუდი დამცველნი არიან დღევანდელი მისი დამცველნი. დაე თვით მან უპატრონოს თავის თავს.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ვერ შექმნა ჩვენში ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება, დემოკრატიული წესი და მართვა-გამგეობა. დღეს ის უმწეოა და უძლური ახალი განსაცდელის წინაშე. ადარ სჩანს ის უსიცოცხლო თანაგრძნობაც, რომელითაც ის აქომამდე საზრდოობდა. მხოლოდ ამიერ-კავკასიის ეროვნულ-ბათა ეროვნულ ორგანოებს შეუძლიანთ გარს შემოიკრიბონ საკმაო ენერგია თვისი არსებობისა და თავისუფლების დასაცავად.

დღემდის ჩვენი მთავრობა იყო მთავრობა პარტიული, ცალმხრივი და არა ხალხური, ეროვნული. ამიერ-კავკასიის ერები აწ მხოლოდ ეროვნულ მთავრობებს გაჰყვებიან. კომისარიატმა უნდა დაიტოვოს თავის ხელში მხოლოდ ჯერ სადაო და საერთო საკითხები და მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება კი უნდა გადაეცეს ამიერ-კავკასიის ეროვნულ საბჭოების ხელში. ჩვენმა მეზობლებმა უკვე აღუჭურვეს თავიანთი ეროვნული საბჭოები მთელი ძალა-უფლებით. ამ ეროვნულ ცენტრების გარშემო შეუდგნენ ისინი ძალთა კრეფას, ეროვნულ აღმშენებლობას. საქართველოც დიდი ხანია ეროვნული მთავრობის მოლოდინშია! მხოლოდ ასეთი მთავრობა შეძლებს საქართველოს დღეს უმძიმესი ენერგიის ამოქმედებას. ქართველი ერი ჯერ კიდევ არ შერყვნილა სავსებით. კიდევ მოიპოებიან მამულისშვილნი, რომელნიც კლასიურ ეგოიზმით და პირადი წვრილმანი პატივმოყვარეობით და ანგარებით არ არიან შეყრობილნი და მოწამლულნი. მამულის სიყვარული, ეროვნული თავმოყვარეობა და სამშობლოს დაცვის გრძნობა ჯერ არ გამქრალა ქართველს ერში. ეროვნული საბჭო, სრული სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებით აღჭურვილი ეროვნული მთავრობა და, ჩვენ გვწამს, რომ მოხდება ქართველი ერის სულიერი გარდატეხა. ეროვნული მთავრობის ბრძანება და მის გარშემო პირველს დღეს შემოიკრიბება საკმაო ძალა ეროვნული არსებობის, ეროვნული თავისუფლების დასაცავად.

საქართველო განსაცდელშია. ამ მეა პასუხისმგებლობა სამშობლოსა და ერის წინაშე. კომისარიატი უძლურია. განსაცდელიდან ეროვნულ ძალთა შემოკრება, მაშულიშვილური აღფრთოვანება და აღტყინება თუ გვიხსნის. ამისთვის ერთი გზა დაგვრჩა—გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ მთავრობას!

ა. ახათიანი.

სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძლურება

ჯერ კიდევ არ დამდგარა (—ან დადგება კი?) ისეთი ისტორიული ხანა, როცა ადამიანს შეეძლებოდეს სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება. ხოლო სახელმწიფოსათვის აუცილებელია ხელმწიფებითი უფლება („ვლასტ"), რომელსაც შეძლება აქვს ძალდატანებაც იხმაროს საჭირო ნორმების გასაყვანად. ეს ანბანური ჭეშმარიტება საშინელი თანდათანობით ეძაფრდება თანადროულს რევოლუციურ ხანაში. ყველა გრძნობს, რომ მარტოდ მარტო რდვევა საკმაო არ ყოფილა: საჭირო ყოფილა აგრეთვე შენებაც,—რაიც ძალამოსილს უფლებას ითხოვს უცილოდ. მაგრამ სად არის ასეთი უფლება? თვითონ უფლება-მოსილნი აღიარებენ (—იხ. სეიმის გარშემო ატეხილი დავა კომისარიატში), რომ მაგარი ხელმწიფებითი უფლება ჯერ კიდევ არ დამყარებულა. ხალხის მასსა კი საშინლად დაიდალა ლოდინით ამგვარი უფლების: —აქა იქ უკვე გაისმის მოუთმენელი სურვილი: ოღონდ უფლება იყოს ცხოვრების მომრიგებელი,—და სულ ერთია როგორი იქნება იგი: შინაური თუ გარეული, ძველი თუ ახალი.

მრავალია მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენის. მათგან ყველაზე უცხადესია ერთი მიზეზი: ეს გახლავთ სოციალიზმის ფსიხოლოგია: სოციალისტებს ფსიხოლოგიურად არ შეუძლიათ შექმნან ძალამოსილი ხელმწიფებითი უფლება. უფლების ბუნება ისეთია, რომ მას ვერ ითვისებს სოციალისტი,—და ჯეროვანია ეს საკითხი ოდნავ მაინც გადაიკრას.

უფლების მოვლენა მეტად რთულია და უცნაური. ერთს ადამიანს აქვს მეორეზე უფლება,—ეს ფაქტი ძირეულია უფლების მოვლენის. აქ არ არის ადგილი ამ მოვლენის ფილოსოფიურად გამოკვლევის: საკმაოა მისი ელემენტარი გამოცნობა. უფლება თავის თავად წმინდა ფსიხიური მოვლენაა: ერთი უბრძანებს—მეორე ასრულებს: — ამ ბრძანებაში და ამ ასრულებაში თავი და თავი ირაციონალი (ზონებითი სფერის გარეშე მყოფი) კავშირია (ანუ ელემენტი). ჩვენ არ შეგვიძლია რაციონალს ტერმინებში გავხსნათ უფლების მოვლენა,—სწორედ ისე, როგორც არ შეგვიძლია ჩვენ ლოგიკის საშვალებით ამოვსწურეთ ისეთი მოვლენა, როგორიც არის სიყვარული ან მეგობრობა. უფლების ასეთი ხასიათი კიდევ უფრო იზრდება, როცა იგი ადამიანთა საზოგადოებაში გვევლინება. გერმანელმა სოციოლოგმა გეორგ ზიმმელმა შემდეგი ფსიხიური ფაქტი განმტკიცა: რამდენად იზრდება ადამიანთა რიცხვი, იმდენად იზრდება მათი ერთი მეორისაგან დამოკიდებულება. მაგალითად: ორი ადამიანის კავშირი სხვა არის დამოკიდებულების მხრით ვიდრე სამის კავშირი: ორის კავშირში მოკავშირე მხოლოდ ერთისაგან არის დამოკიდებული, ხოლო სამის კავშირში ყოველი მესამე ორი სხვა მოკავშირისაგან არის დამოკიდებული. იზრდება რიცხვი საზოგადოებისა—და თან იზრდება საზოგადოების წევრთა ურთიერთი დამოკიდებულება. ხოლო რამდენად იზრდება ეს დამოკიდებულება, იმდენად ნაკლები ხდება აქტივი ძალა რომელიმე წევრის საზოგადოების ვითარებაში. ბოლოს ეს პროცესსი იქამდე მიდის, რომ ხსენებული დამოკიდებულება თითქო წევრთა გარე დგება როგორც ცოცხალი არსი: ობიექტივდება (ნივთდება), ფეტიშად იქცევა. ყალიბდება ერთგვარი მექანიზმი, ადამიანთა მიერ შეუცნობლად შექმნილი, მაგრამ ეხლა თვითონ ადამიანთა ქცევის გარეგან-მმართველი. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ომის გამოცხადების დროს ბევრს, შესაძლოა, არც კი უნდოდეს ომი, მაგრამ ხსენებული მექანიზმის ძალით სახელმწიფოს წევრნი სასიკვდილოთ მიდიან. აქ მონარქი (თუ სახელმწიფო მონარქია) ხოლოდ უბრალო სიმბოლოა (ნიშანი) ამ მექანიზმის. როგორც ადამიანი იგი შესაძლოა ყურადღებასაც არ იქცევდეს, მაგრამ როგორც მონარქი (როგორც ერთნაირი განსახიერება სახელმწიფო მექანიზმის) იგი საშიშროებისა და საიდუმლოების გრძნობას იწვევს. არა თუ მონარქი, თვითონ „გოროდოვოი" სრულიად უმნიშვნელო ვინტი სახელმწიფოსი, სწორედ ამგვარი გამოსახულებით მბრძანებელი გამოდის იქაც კი, საცა იგი როგორც უბრალო ადამიანი მხოლოდ სიცილს გამოიწვევს, თუ ბრძანებას მიმართავს. ამითვე აიხსნება ის მოწიწებითი გრძნობა, რომლითაც ადამიანი ქალალდის ფულს მიმართავს; როგორც ქალალდს მას მხოლოდ ქალალდის ფასეულობა აქვს, მაგრამ როგორც ნიშანი სახელმწიფოს ნდობის საშინელი ჩვენებით გამოდის. ესეგე მოვლენა ფსიხოლოგიურად ახსნილი აქვს თითქმის ამნაირადვე ლევ ტოლსტოის „ომსა და ზავში".

ასეთია უფლების ბუნება. როცა სახელმწიფო წყობილება ირღვევა რევოლიუციის ცეცხლით, მაშინ მართებულია რევოლუციის თანამონაგენნი სწორეთ ხსენებული გზით შექმნან უფლება. მაგრამ აქ თავსა ჰყოფს ერთი წინააღმდეგობა. ხელმწიფებითი უფლება არ არის ისტორიულად სოციალი შეთანხმების ნაყოფი (—გაიხსენეთ რუსოს („სოციალი კონტრაქტი"), ხოლო რევოლუცია შეგნებული ჩარევაა ხელმწიფებითი უფლების გარდაქმნაში. არსებული ხელმწიფება შეუცნობელია, სტიქიური,—რევოლიუციური ჩარევა კი შეცნობილი, გამიზნული (—რუსოს თეორიას აქ აქვს თავისი აზრი). ამ მხრით თვის თავად ცხადია, რევოლიუციურ რღვევა—შენებაში არ წარმოიშვის უეცრად ხელმწიფებითი უფლება მთელი მისი განივთებული გარემდგომი სიმკაცრით. მხოლოდ შემდეგში, როცა დუღილი გათავდება, ხელმწიფებითი უფლება მიიღებს ზემოადნიშნულ ხასიათს.

მიუხედავად ამისა, რამოდენიმეთ მაინცაა შესაძლო რევოლიუციის ხანაში ხელმწიფებითი უფლების განმტკიცება. მაგრამ ამისათვის სულ სხვაგვარი ფსიხოლოგიაა საჭირო, ვიდრე ფსიხოლოგია სოციალისტების. ჯერ ერთი: სოციალისტების რწმენით ყოველს ადამიანს უფლება აქვს აქტიურად ჩაერიოს სახელმწიფო ცხოვრებაში მიუხედავად მისი კულტურული დონისა. აქედან გამოდის ერთი რამ უცილოდ: რადგან ადამიანს ადამიანური სისუსტე ყოველთვის თან ახლავს, ამისათვის თითქმის ყოველი წევრი ფიქრობს, რომ იგი თუ სხვებზე უკეთესად არა მათსავით მაინც მოუთარს თავს სახელმწიფო საქმეებს,—და იწყება დაუსრულებელი არჩევა და გადარჩევა: ჯერ ერთს ჯგუფს ირჩევენ, შემდეგ მეორეს, მერე კიდევ მესამეს,—და ასე ამრიგად. თავის თავად ცხადია, რომ ამ არჩევა-გადარჩევაში სრულიად იკარგება ადამიანის ავტორიტეტი, რომელიც უცილოდ საჭიროა ხელმწიფებითი უფლებისათვის; „ამხანაგი" წერეთელი და „ამხანაგი" ჩხეიძე ამ მხრით სრულიად თანაბარნი გამოდიან რომელიმე სხვა სრულიად უმწეო „ამხანაგისა". ასეთს მდგომარეობაში ბძანება შეუძლებელია,—და თუ არ არის ბძანება, ხელმწიფებითი უფლება რით დაიბადება. შემდეგ: ეროზეფდე-მესტრმა შესანიშნავი აფორიზმი წარმოსთქვა: სახელმწიფოს საფუძველი ეშაფოტია. ამ თქმაში შესაძლოა სიჭარბე იყოს, მაგრამ მთავარი აზრი იქ გამოთქმული სრული ჭეშმარიტებაა: ესე იგი: სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს ისე, თუ იგი ძალადობას არ მიმართავს. ახლა ვიკითხოთ: შეუძლია თუ არა სოციალისტს ძალადობა? რამდენად გამსჭვალულია სოციალიზმის ფსიხოლოგიით, სოციალისტი ვერ მიმართავს ძალადობას. ხანდახან მას შესაძლოა კიდეც უნდოდეს ძალადობა, მაგრამ სოციალისტური თეორია ხელს უშლის მას ამისათვის,—და ასეთს რყევაში იგი კიდევ უფრო ამუსტებს ხელმწიფებითს უფლებას.

გადავალეთ თვალი თუ გინდ ამიერ-კავკასიელი სოციალისტების მოქმედებას და თქვენ დაინახავთ მათს სისუსტეს ხელმწიფებითის უფლების შექმნაში. ერთი მხრით აქ არის რევოლიუციური მთავრობა და მეორის მხრით ეგრეთ წოდებული ცენტრი მუშების, სოლდათების და გლეხების დეპუტატებისა. საკითხავია: რათ არსებობს ეხლა მაინც ეს ცენტრი? მუშები მონაწილეობას იღებენ იმავე რევოლიუციური მთავრობის შექმნაში,—რადა საჭიროა მათთვის სხვა სახელმწიფო ორგანო? სოლდათები ან იგივე მუშებია ან იგივე გლეხები,—ესეც არ იყოს, ისინი უკვე ფაქტიურად დაიშალენ,—და რა საჭიროა მათი დეპუტატები სხვა ერთეულში? გლეხები სხვებთან ერთად იმავე რევოლიუციუ მთავრობაშ, გზავნიან თავის წარმომადგენელებს,—რადასათვის უნდათ მათი სხვაგან დარაზმვა? და აი, რევოლიუციურ კომისარიატს არ ძალუძს ამ ცენტრის მოსპობა. ეს გარემოება კი ჰქმნის ორიან—უფლებას და ამით თვითონ უფლებრივ-ბრდებასაბრ

ან კიდევ: ამიერ-კავკასიას უნდა მობილიზაცია. კომისარიატი დეკრეტს იმუშავებს და კიდევაც გამოსცემს. ხოლო როცა დაინახავს, რომ დეკრეტის გაყვანა საძნელოა მეტად, მისი ასრულების დაწყების ვადას სადღაც შორს გადასდებს. ამით კი უფლება ერთიანად ბზარდება. ცნობილია: დასამორჩილებელს თუ სისუსტე დაანახე, კაცდევ უფრო გაურჩდება იგი. ნამდვილი მთავრობა ან სულ არ გამოსცეს საკანონო დეკრეტს, ან თუ გამოსცა, უთუოდ ეცდება რაც უნდა დაუჯდეს ცხოვრებაში გაატარონ იგი.

სისუსტის ნაყოფია გუშინდელი დეკრეტიც. თეატრისა და სხვა გასართობების მთელი შემოსავალი სახელმწიფო კასსაში უნდა შეიტანონ „მიმდინარე ანგარიშზე". გამოწვეულია ეს იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო კასსა დაცალიერებულია. ასეთი დეკრეტი უდრის იძულებითი სესხის მოთხოვას. მაგრამ საკითხავია: რათ ეხება ეს დეკრეტი მარტო გასართობებს? რათ არ შეეძლოთ მისი გავრცელება მაგალითად ყველა სავაჭრო დაწესებულებებზე? პასუხი ერთია: ეს არის ნახევარი ზომა, რომლითაც შესაძლოა მთელი საზოგადოების უკმაყოფილება (მოსალოდნელი) თავს აიცილონ. ან რათ იყო საჭირო ასეთი დეკრეტი, როცა სხვა მხრით შეიძლებოდა მიზნის მიღწევა? სოფლები მაგალითად დღეს თავმოყრილია უთვალავი ფული. რათ არ შეიძლებოდა ამ ფულის რაიმე სახით სახელმწიფო კასსაში შემოთრევა? თუ გინდ გადასახადების სახით? პასუხი აქაც ერთია; სოციალისტი გლეხობას მუდამ გადასახადის მოსპობას ჰპირდებოდა და რასაკვირველია ახლა მას როგორ მიადგება იგი კარს გადასახადის მოსაკრებად!

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა,—მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ესეც საკმაო. სოციალიზმის ფსიხოლოგიით სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია.

გიგო გოლლენდ.

სომხური პრესა

დაშნაკცაკანები და სოციალდემოკრატები.

დაშნაკელების „აზხატავორ"-ი სწერს:

იანვრის 22 შეიკრიბნენ დამფუძნებელ კრების ამიერ კავკასიის წევრები. ძლიერის და ავტორიტეტულ მთავრობის შედგენა ჰსურდათ.

ჩვენ გვგონია რომ არსებულ პირობების მათი სურვილი სურვილად დარჩება. ძლიერ და ავტორიტეტულ მთავრობად მხოლოდ რევოლიუციონური, ინტერნაციონალურ-დემოკრატიული მთავრობა თუ შეიძლება იყოს, და ასეთ მთავრობის შედგენას კი მრავალი დაბრკოლება ელოდება წინ.

ყოველივე მთავრობა იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც, იგი შეესაბამება საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ ძალთა განწყობილებას.

ამიერ კავკასიის მთავრობა კი სწორედ ამ საფუძველსაა მოკლებული. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამიერ კავკასიის მაჰმადიანთა შორის ჯერაც კონტრ რევოლიუციონური ელემენტი სჭარბობს.

სომხის და ქართველთა რევოლიუციონურ დემოკრატიის წინაშე სდგას მაჰმადიან მემამულეების კონტრრევოლიუციონური კლასი ამიერ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი, სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ პირობების გამო, კონტრ-რევოლიუციონერის როლში დარჩა.

ამაშია მთელი ბოროტება და ყველაფრის მიზეზი. მაგრამ მაჰმადიანი ბეგები დამნაშავენი არიან იმდენად, რამდენადაც არიან ბუნებით კონტრ-რევოლიუციონერნი. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ თუ რუსეთში რევოლიუციის გამარჯვებისათვის უარყოფითი და საზარალო როლი ბოლშევიზმა ითამაშა,—ჩვენში, ამიერ კავკასიაში რევოლიუციისათვის ასეთივე უარყოფითი როლი ითამაშა მენშევიზმმა. ამაზე მეტიც. ჩვენში მენშევიზმი ნაბსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობდა კონტრ-რევოლიუციის ზრდა-განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური ფრაქცია „რუსეთის(?!) მუშათა(!?) სოციალ-დემოკრატიის" სახელით გამოდის,—თავის შემადგენლობით, ბუნებით და მიმართულებით, აქამდისაც ქართულ ეროვნულ ორიენტაციას ადგა და ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდა და ეხლაც ეროვნულ გზით წავიდა.

მენშევიკების პარტიამ, რომელიც ეფექტურად ეყრდნობა „ქართველ

გლეხობასა და წვრილ [illegible]" (ამას მათივე [illegible] „ერთობა" აცხადებენ) ინტერნაციონალურ-სრულიად კავკასიის დემოკრატიის პოლიტიკა ზსხვერპლად შესწირა თავის ქართულ ეროვნულ პოლიტიკას.

აი სწორედ ეს „მესამე ელემენტი" დამნაშავე იმაში, რომ ჩვენში, ამიერ კავკასიაში, არამთუ ძლიერი რევოლიუციონური მთავრობა ვერ შესდგა, არამედ ცხოვრებაში გატარებულ არ იქმნა სხვა და სხვა სოციალური, და განსაკუთრებით, საადგილმამულო და საერობო რეფორმები. ამას დაუმატოთ ისიც, რომ რევოლიუციონური ტალღა ჯერაც არ შეჰხებია აღმოსავლეთ ამიერ კავკასიას. ქართველი მენშევიკები კი ხელს უწყობდნენ თურქ თათართა მემამულეებს, აძლიერებდნენ

მათ გავლენას და ავტორიტეტს. აი ფაქტებიც: 1) მათი ბლოკი ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე, 2) მათი გამოსარჩლება შესახებ იმისა, რომ ამიერ-კავკასია ხუთ საარჩევნო ოლქად გაყოფილიყო. 3) მათი საქციელი თბილისის ქალაქის საბჭოში, 4) მათი პოზიცია ერობის და გადამჯვნის საკითხებში, 5) მათი დამოკიდებულება ფერონტსა მობილიზაციასთან და სხვა და სხვა.

ქართველ მენშევიკებს არსად და არასოდეს ინტერნაციონალური, სრულიად კავკასიის დემოკრატიის საქციელი არ გამოუჩენია. ქართველ მენშევიკებს სომეხთა მუშათა პარტია „დაშნაკცუტიუნ"-ი ჯერ მიაჩნიათ საკმაოდ სოციალისტურ და რევოლიუციონურ (?!) პარტიად. მას „პოგრომულ" და კონტრ-რევოლიუციონურ პარტიად სთვლიან. ამის გამო ისინი მუდამ აცალკევებდნენ პოლიტიკურად სომხის დემოკრატიას: მათ გაჰყვეს კავკასიის ორი რევოლიუციონური დემოკრატია.

ასეთ განსაკუთრებულ უარყოფით პირობების და მდგომარეობის გამო ჩვენი მდგომარეობა მეტად გამოურკვეველი და მძიმე შეიქმნა. სოციალ-დემოკრატების ქართულ-ეროვნულ ორიენტაციამ და მაჰმადიანთა კონტრ-რევოლიუციამ ჩვენ, დაშნაკცაკან სოციალისტები გასაჭირში ჩაგვაყენა.

ჩვენ, ვინც ყველაზე უფრო გარკვეულად ვაწარმოებდით სრულიად რუსეთის რევოლიუციონურ და ინტერნაციონალურ ტაქტიკას—„უბედურ მესამის" როლი მოგვერგო.

მენშევიკებმა შეგვიეს ჩვენი ნება. ქართველ ეროვნულ სოციალ-დემოკრატიის, სწორე იქნებოდა გვეთქვა ეროვნულ დემოკრატიის და მაჰმადიანთა შოვინისტურ ფატალიზმის წინაშე ჩვენ რევოლიუციონური ცეცხლი ჩაგინელეთ და უნებურად დათმობისა და მოთმენის გზას დავადექით. ჩვენ ვითმენდით მენშევიკების და ბეგების დიქტატურას.

რა უნდა შეგვძლებოდა ასეთ ტრაგიკულ და განსაკუთრებულ პირობებში როდესაც ჩვენ ვსდგევართ ჩვენზე „ძლიერების" წინაშე.

ბოლშევიზმს ჩვენში არ ჰქონდა არც ნიადაგი, არც საფუძველი. ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო მის პოლიტიკურ გზით სიარული.

აი, ასეთ გამოურკვეველმა პირობებმა მისცეს ტონი და მიმართულება ჩვენს სოციალურ პოლიტიკას და ზოგიერთ შემთხვევებში დაგვაკისრეს ჩვენთვის ალბა შესაფერისი როლი და პოზიცია. ჩვენ ხშირად იძულებულნი ვიყავით ცოტად თუ ბევრად გვერდი აგვეცვალა ჩვენს სოციალისტურ რევოლიუციონურ გზისთვის. ასეთი იყო ჩვენი როლი და პოზიცია.

ეხლა ჩვენ ქართველ „სოციალ-დემოკრატებთან" ვცდილობთ შეექმნათ ძლიერი და ყველასათვის მისაღები მთავრობა. ჩვენ ერთხელ კიდევ მზად ვართ დაუთმოთ მათ და მათ განკარგულებას მივსცეთ სომხის დემოკრატიის სრული მორალური და რევოლიუციური ძალა. მაგრამ ჩვენ მათგან სრულს ნდობას მოველით.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი „სოციალ-დემოკრატია" ეხლა მაინც მიიღებს ინტერნაციონალ ტაქტიკას და დასტოვებს თავის ტრადიციულ ანტისომხურ პოლიტიკას და მაჰმადიანთა გამოსარჩლებას და ჩვენთან ერთად შეეცდება შექმნას ძლიერი მთავრობა, რაც ასე საჭიროა რევოლიუციის და კავკასიის დემოკრატიის სახსნელად.

ზავის გარშემო

ზავი გერმანეთთან

მოლაპარაკების შეწყვეტა

კიულმანი და ჩერნინი ბრესტ-ლიტოვსკიდან გავიდნენ; მათი წასვლა ალბად ჰმოწმობს საზავო მოლაპარაკების შეწყვეტას და გერმანელთა საზავო პირობების მიღებას.

ოემი

ვლადივოსტოკის ოკუპაცია

როგორც ეხლა ირკვევა, იაპონელთა ლაშქარი დიდი ხანია, რაც იმყოფება მანჯურიაში რკინის გზების დასაცველად. ვლადივოსტოკის ოკუპაციით ჰსურთ გაიადვილონ ციმბირის გზების ხელში ჩაგდება. შეიძლება რომ იგინი გაიგზავნენ ამერიკის მთავრობის შეთანხმებით. იაპონელები უკმაყოფილონი არიან ბოლშევიკების მიერ. ვლადივოსტოკის ხელში ჩაგდებით, მათ ჰსურთ, რომ თავიდანვე აიცდინონ ანარქია, რომელიც დაეზიანებს ვლადივოსტოკში მცხოვრებ რამდენიმე ათი ათას იაპონელს და მათ ქონებას.

რუმინეთის მეფის შეპყრობის ბრძანება

სმოლნში განაცხადეს, რომ რუმინეთის მეფის შესაპყრობად გაცემულ ბრძანების მეთაური ყოფილა მემარცხენე ესერების კომისარი შტეინბერგი და არა ბოლშევიკები. ტროიცკი პირდაპირი მავთულით ადასტურებს ამ გეგმას.

გერმანელებს ბოლოს და ბოლოს ჰსურთ, რათა მოკავშირეებმა ომი გამოუცხადონ რუსეთს. რასაკვირველია რუსეთი ვერავითარ ნუგეშს ვერ მიიღებს ბერლინში მყოფ სულიერად დაცემულ რუსის ლაშქრისაგან. სამაგიეროდ რუსეთი გაანთავისუფლებს მილიონ ნახევარ ტყვეებს, რომელიც შეიარაღებული ია ბიანდ. ამასთანავე გერმანეთი ისარგებლებს რუსეთიდან გზიდან სურსათით, და გამოიყენებს იმ მოქმედებისათვის, რომელსაც ეპირებს გზაფხულზე დასავლეთ ფრონტზე.

საფრანგეთის ფრონტი

ჯერჯერობით ამერიკელებს დაუბერიათ საფრანგეთის ფრონტის ნაწილი.

ინგლისის ფრონტი

ინგლისის ფრონტზე ჩამოვიდეს გერმანელთა 11 ჰანერიანი; ინგლისელებმა დაჰკარგეს 3.

რუსეთის ფრონტის მდგომარეობა

ბოლშევიკი მინისტრი პოდვოისკი ამზადებს მეტად პესსიმისტურს მოხსენებას, რუსეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ, რომლითაც იგი წარსდგება სახალხო კომისარების და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობაზე მოხსენება შედგენილია განსაკუთრებით ბოლშევიკურ სალაშქრო კომიტეტების და მთავარსარდალ კრილენკოს მიერ მიწოდილ ცნობების მიხედვით. პოდვოისკი უპირველეს ყოვლისა კრიტიკას უკეთებს თავისივე დეკრეტს სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ. სამხედრო უწყების კომისარი სოხოვს სახალხო კომისრებს გამოსცენ საგანგებო განმარტება, რომ არტილერიაში, კავალერიაში და საინჟინრო ნაწილებში, სადაც ოფიცრებს მოეთხოვთ მეტი საშეცნიერო მომზადება—არჩევნებით დანიშვნის წესი არ იქმნეს შემოღებული და დათხოვნილი ოფიცრები ძველს თანამდებობაზე დანიშნონ. პოდვოისკი სთხოვს სახალხო კომისრების საბჭოს, რომ ეცადონ კრილენკოს დეზერტირებთან ბრძოლაში. ჩრდილოეთის ფრონტს ღლითი ღღე სტოვებენ ჯარის კაცები. ტობოლის პოლკში სულ 900 კაცი და ითელენი, გრენადართა პოლკში ათასი, გლინის პოლკში 150 კაცი-ღაა. ე. ი. ერთი როტა. ხსენებული პოლკები ფულს ღებულობენ ძველ კვალობაზე.

გოლოვევიკების დიქტატურა

მოსკოვში

ტყვია პურის ნაცვლად

„რაბოჩეე დელო" იტყობინება: „საშინელი ამბავი მოხდა კოლომნაში (მოსკოვთან). კოლომნა დიდი ხანია, რაც დამშეულია. ერთი კვირის განმავლობაში, კოლომნელებს ნამცეცი პური არ მიუღიათ. ქრისტეშობისთვის 28-ში შეიყარა დიდი მიტინგი. მოლაპარაკეები ავად იხსენიებდნენ ბოლშევიკებს, რომლებმაც გაართულეს სურსათის საქმე. გადასწყვიტეს, საბჭოში განუცხადონ ბოლშევიკებს, რომ ადარ ჩაერევნენ სურსათის საქმეებში. ხალხი მშვიდად გაემართა საბჭოსკენ. წინ უძღოდნენ მეზღვაურის შვილები. საბჭოდან გამოვიდნენ წითელ-გვარდიელები და ხალხს დაუწყეს ვინტოვკებით სროლა. საშინელი სურათი გაიშალა თვალწინ: ველური ყივილი, ისტერიკა, ცრემლები. შეშლილი დედაკაცები, ბავშვები, მირბიან და ეცემიან ქვაფენილებზე. ამას მოჰყვა მეორე გასროლა და ხალხი მოითიბა. შემდეგ დაიწყო კვლავ არეული სროლა.

— ამხანაგებო! რას შვრებით? ამხანაგებო! და არც კი დაეთავება ეს სიტყვა, რომ იგი მკვდარი დაეცა თოვლში—ეს იყო ბოლშევიკი მეზღვაური. მეზღვაურის მკერდზე მოჰკლეს 8 წლის ბავშვი.

თოვლი შეიღება ალისფერ ლაქებით, ქვაფენილები მოიფინა დაჭრილ-დახოცილებით. „გამარჯვებულები" გაიფანტნენ, ხოლო გვამები ორი საათის შემდეგ აკრიფეს ჯარისკაცებმა. დაახლოვებით მოკლულია და დაჭრილი 70 კაცი. ზოგი დაჭრილი სახლში გაიქცა. ამავე დროს ამ უბედურობის მსხვერპლი—წითელგვარდიის უფროსი—ბოლშევიკი ლაზარევი, შვიპყრო მილიციონერმა-ჯარისკაცმა, დაჩხა ხმლით და შემდეგ ტყვიით მოუსპო სიცოცხლე. ასე დასრულდა ბოლშევიკების მიერ ჩადენილი შემაძრწუნებელი ამბავი კოლომნაში.

უკანასკნელი დეპეშები

ამიერ-კავკასიის ხეიმს დეპეშით ატყობინებენ ასალბაიაზეთიდან: შეიარაღებული ადუულახის თათრები დაეხსნენ მალაკანთა ხოფელს ნადეედინს. მალაკნები თხრილებში არიან ჩასაფრებული და ხოფლის აოხრებას არ ანებებენ. განუწყვეტელი სროლაა. მალაკნების მხრივ არიან მოკლული და დაჭრილები.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ხეიმის შემადგენლობა.** ამიერ-კავკასიის სეიმში იქნება სულ 94 დეპუტატი. აქედან მენშევიკი—33, კადეტი—1, ესერი—5, დაშნაკცუტუნი—25, ბოლშევიკი—4, ფედერალისტი—1, სომხური კადეტთა პარტიის—1, ერეოვნულ-დემოკრატი—1, მაჰმადიანთა პარტიების №10—27, №11—4, №12—7, №14—3 იანვრის 26 შესდგა სეიმის მოწვეული ბიუროს სხდომა, რომელზედაც დაადგინეს, რომ სეიმის სხდომები სასახლეში მოხდეს. აქვე იქნება მოთავსებული სეიმის კანცელარია.

◆ **პროვოკაციათა ბრძოლა.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა საქართველოს საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო კომისრებს: საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მოსდის ცნობები, რომ სოფლად მოქმედებენ ბნელი ძალები, უპასუხისგებელი პირები, რომელნიც ეწევიან ხალხში პროვოკაციას, ამხედრებენ ერთის ნაწილს საზოგადოებისას მეორე ნაწილის წინააღმდეგ, რასაც მოსდევს შიში და არეულობა ხალხში, ერთმანეთის უნდობლობა, თავდასხმა და ხოცვა-ჟლეტა. ასეთი მიზდინარეობა ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს მეტის მეტად მავნე მოვლენად, კონტრ-რევოლიციონურ გამოსვლად და ქართველი ხალხის მტრობად. ამიტომ აღმ. კომიტეტი გთხოვთ და გავალებთ, თქვენდამი რწმუნებულს სამაზრო რაიონში მიიღოთ ყოველგვარი ღონისძიება, რათა ზემოადნიშნული ბოროტმოქმედებანი მოისპოს სოფლად თუ ქალაქად და სრული წესიერება იქნეს აღდგენილი.

◆ **დარიალის ხეობის საკითხი.** დაბრუნდა დარიალის ხეობის შესახებ ინგუშეთთან მოსალაპარაკებლად გგზავნილი დელეგაცია. მისი მოხსენებიდან სჩანს, რომ დარიალის ხეობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. ინგუშებთან სრული შეთანხმება მოხდა.

◆ **რეზოლიუცია სარეგოლიუციო ორგანიზაციებისა.** იანვრის 28-ს სარეგოლიუციო ორგანიზაციების კრებამ მსჯელობა იქონია საოლქო მთავრობისა და ეროვნულ საბჭოების ძალა-უფლებათა შესახებ და ასეთი რეზოლიუცია გამოიტანა: შეიარაღების საქმე და შეიარაღებული ძალები უნდა იმყოფებოდეს ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულების ქვეშ; ეროვნულ საბჭოებს არ შეუძლიანთ მითვისონ მთავრობის რაიმე უფლება, ამ საბჭოების კომპეტენციაში შედის მხოლოდ საკულტურო და საგანმანათლებლო საქმეები.

სასურსათო საქმეები

◆ **რაციონის შემცირება.** იანვრის 29 პურის რაციონი ნახევარი გირვანქიდან 3/4-მდე შემცირდა დროებით. მიზეზი ისაა, რომ წისქვილები ვერ ასწრობენ დაფქვას.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს საღამოს 6 საათზე საქართველ. ეროვ. დემ. პარტიის ბინაზე შესდგება მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია სარდაფკიო და სხვა მორიგი საკითხები.

◆ **მე-2 რაიონის წევრთა კრება.** ოთხშაბათს, იანვრის 31, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის წევრთა კრება. კრების საგანია: ა) მოხსენება კონფერენციის შესახებ, ბ) მიმდინარე მომენტი, გ) არჩევნები საარაიონო კომიტეტის თავმჯდომარისა და რამდენიმე სხვა წევრთა.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება.** ხვალ, იანვრის 31, საღამოს სწორედ 5 საათზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს უმთავრესად საკითხი ხაჭართველოს ჯარების შესახებ. საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

◆ **სამხედრო კავშირის ხალამო.** თებერვლის 4-ს ქართული სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი ქართულ კლუბში საღამოს მართავს.

◆ **სატეხნიკო საზოგადოების კრება.** დღეს, 30 იანვარს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სამთო-ქიმიურ სექციის სხდომა. 1) ასარჩევია წარმომადგენელი სატეხნიკო სექციაში, 2) მოხსენებას გააკეთებს ინჟ. მეძმარიაშვილი შემდეგ თემაზე: „მინერალური სიმდიდრე საქართველოსი" და სხვა საგულისხმო საკითხები.

შეცდომის გასწორება

მორიგ ნომერში დაბეჭდილია „ქართული უნივერსიტეტის გახსნა", სადაც კორექტურული შეცდომები სავსებით სცვლიან წერილის აზრებს. გასწორებთ უმთავრესს: დაბეჭდილია: „ქართველი ერი ბავშვური ენტუზიაზმით შეჰყურებს განათლების ახალს ტაძარს, სადაც იეზეკილისებურ უფრო, ხარისთავა ქერუბიმები კი არ იმყოფებენ, ძველი რუთინის ყრუ და მუნჯი ქერუბნი, არამედ მშობლიო კერით ნაწრთობ გამოზრდილი თავგანწირული მეჩირადღენენ". უნდა იყოს: „ტაძარი, სადაც იეზეკილისებური ტაძრის უფრთო, ხარიხთავა ქერუბიმები კი არ იფრენენ, ეს ძველი რუთინის ყრუ და მუნჯი ქერუბნი, არამედ" და სხვ. შემდეგ დამახინჯებულია სახელები „ლაპკაზი, ბერტპოლე", უნდა იყოს: „ლაპლასი, ბერტჰოლე" და სხვ.

მდგომარეობა ადერბეიჯანში

◆ **ოსმალთა მუქარა.** რუსეთის საელჩო სპარსეთში დეპეშით აუწყებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ ადერბეიჯანში ამ ჟამად გერმანელთა და ოსმალთა წარმომადგენლები დიდ აგიტაციას ეწევიან რუსეთის წინააღმდეგ. სომხების ცნობილ [illegible] წეებს ხელმოწერილი წერილები მოუვიდათ, ავტორნი იმუქრებიან სომხურ ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენის გამო. ასეთივე მუქარის წერილებში მოსულიათ ყველა ნეიტრალ და მოკავშირე სახელმწიფოთა კონსულებს, თუ არ შესწყვეტთ სომხურ პოლკების შედგენაში მონაწილეობას გაგანადგურებთო.

◆ **ოსმალეთის მთავრობა და ახირიის პატრიარქი.** რუსეთის საელჩო სპარსეთში დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ ახირიის პატრიარქს მარ-შიმონს ოსმალეთის მთავრობისაგან წერილი მოუვიდა, რომელშიც წინადადებას აძლევენ მას ომი გამოუცხადოს რუსეთს და დაუყოვნებლივ მოსულში გადავიდეს. წერილში ნათქვამია, თუ პატრიარქი ამ წინადადებას მიიღებს, ოსმალეთის მთავრობა კვლავ მისი წყალობელი იქნება წინანდებურად. ოსმალეთის მთავრობის წერილი პატრიარქისთვის ქურთების ცნობილ ბელადს სიმქოს მიუტანია.

თავგრიზში, როგორც იქიდან იტყობინებიან, სურსათის საკვებობა სრულებით არ არის. პირველ საჭიროების საგნები თანდათან [illegible]. რუსულ მანეთიანის ფასმა ბოლოდროს აიწია, რაც იმით აიხსნება, რომ ეხლა კავკასიიდან და რუსეთიდან დიდძალი საქონელი შეაქვთ სპარსეთში. რუსული მანეთიანის ფასმა ბაზაზედე მიაღწია. რუსის ჯარი თანდათან გამოდის ადერბეიჯანიდან რაც რამ სახაზინო ქონებაა, სულ გროშის ფასში ჰყიდიან, მაგალითად თითო ცხენს $1^1/_2$—3 მანეთად იშოვის კაცი.

ამიერ კავკასიის სეიმი

აკ. ჩხენკელის სიტყვა

(წარმოთქმული პირველ სხდომაზე სეიმის მოწინააღმდეგე სოციალისტრევოლუციონერთა და დაშნაკცუტუნების ხაპასუხოდ)

მე პარლამენტში დაჩვეული ვარ სასტიკ გამოსვლებს, მაგრამ აქ სულ სხვა განწყობილებაა... სეიმის მოწინააღმდეგეთაგან მე პოლიტიკური სიტყვები არ მოსმენია. წარმოითქვა დაუსაბუთებელი სიტყვები ტაქტიკის შესახებ. ჩვენ ვიმყოფებით საშინელ მდგომარეობაში. მე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ არავითარი მთავრობა ჩვენში არ არსებობს. და აქ ვეღარ გადაგიურს, ვნებათა ღელვის ამშლელს ჩვეულებრივ სიყვარულს, აშიკობას. ერთს ლექსში გულწრფელად უჩივის „ბაბუკ" ანხანაგებს ეცადონ ნამდვილი „ტროფობის ალი" გაარჩიონ ჩვეულებრივ „ზეევნა-კოცნა, ტყლაშა-ტყლაშისაგან"; რომ „არ შეეშვალონ მოკისკისე კეკელა ქალსა, სულის დამტყვეველს და გრძნობათა ცუდ მომდეარალსა", ვინაიდგან „შეშმარიტ სიყვარულს გული ასეთის ქალისა ვერ მიიკარებს „(ჩემ მეგობართ").

იყო მომენტი მგოსნის ცხოვრებაში, როდესაც იგი—„მაშვრალი", „გულით უნდო", „ურწმუნო", „ეიმედო—სიცოცხლის მიზანს, ბედის ვარსკვლავს ამ გვარს „უხრწნელ ციურს მშვენიერებაში" და წმინდა ტროფობაში ეძიებდა. მაგრამ მას აქაც ბედმა უმუხთლა, ვინაიდგან თითონ პირადად „მარადისობა" ტროფობისა ვერ განეცადა და ადამიანში სულის მშვენიერება ვერ ჰპოვა. ამგვარად გაჰქრა სავალი გზის გამშუქებელი უკანასკნელი კანდელიც, და პოეტი დარჩა ისევ ისე „შწირი", „მიუსაფარი", ობლად მავალი". სასოება დაკარგული პოეტი ჰგოდებს

„ეჭვარ აღმიგო სიყვარულმა
კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი
ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუდმართმა ნუგეშის
კარი,
და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუ-
საფარი".

ასეთს სულიერს ყოფა-მდგომარეობაში რა უნდა დარჩენოდა მგოსანს? სად, რაში უნდა ეპოვნა მიზანი არსებობისა? პოეტს ან ძირიან-ფესვიანად უნდა ამოეგლიჯა გულიდგან უშრეტი სურვილ-მისწრაფება, ანდა ჩაეკლა გულში წყურვილი სადი შემოქმედებისა, უნდა შერიგებოდა ცხოვრებას, აყოლოდა მისთა ღელვათა, ანდა ისევ ისე განეგრძო ტიტანური ძიება და გიჟური ლტოლვა მიზნისაკენ, იდეალისაკენ და კაცად-კაცობი აკენ.

და რადგანაც მგოსანს ბედის მორჩილება არ ეწერა და სასიკვდილოდ (რასაკვირველია, სულიერად) განგებას არ გაუჩენია, რადგანაც მისი „გულის თქმა" უშრეტი იყო და შემოქმედების ძლიერება კი—უძლეველი; რადგანაც სიყრმიდგან მას „რადაც საკვირველი ხმა იდუმალ..." ჩასჩურჩულებდა და ჩასძახოდა: „არ დაეშორ ჩალო ბედს, არ ჩაიქრო „ზრახვანი და საშადელნი", ეძიე თავის „წილობა" ყველგან და ყოველთვისო,—ამისათვის ნ. ბარათაშვილი კვლავ განაგრძობს ძიებას, ბედთან ბრძოლას, მიზნისაკენ ზეკაცურ ლტოლვას; შეჯდება მერანზე—ძიების ფრთებზე—და „მიჭრის, შიმაფრენს უგზო-უკვალოდ" უცნობ სამყაროსაკენ.

ზღაპრულს სანაბადობას წარმოადგენს ეს თავგანწირული, ყოველივე ბუნების კანონის გარეშე მყოფი, „გიჟური", მოუთმენელი ლტოლვა ბედის დასაძლევად და დანიშნულების, ადამიანის „წილობის" საძებრად!

ნ. ბარათაშვილი ეშუდარება თვის „მფრინავ" მერანს თამამად და მოურიდებლად „გადალატაროს ბედის საზღვარი"; თითონ კი თავის მხრივ ბრძოლას იძლევა, რომ არ შეუშინდეს ულმობელ ბედის „ბალრს": მან დასთმო, უარყო ყოველივე ის, რაც მიწასთან, სამშობლოსთან, მშობლებთან, სატრფოსთან და სწორ-ამხანაგებთან აკავშირებს ადამიანს და მისი დაკარგვა და დათმობა უბრალო მოკაკვდავისთვის ცხოვრების ჩვეულებრივს მომენტში ისე მწვავი და მტანჯველია.

იგი მზად არის ითმანოს ყოველივე გასაჭირი, ოღონდ კი „ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნოს გულის საიდუმლობა". პოეტი გრძნობს, რომ ეს მისი უმაგალითო მისწრაფება დასახულს მიზანს პირდაპირ—ვერ მიაღწევს; რომ მისი ცდა შეიძლება მისთვის პირადად უნაყოფოდაც დარჩეს, მაგრამ მას მაინც ის ასულდგმულებს და ამხნევებს, რომ მისი თავგანწირვა სხვებს, მაინც გაუადვილებს „საკვალ გზას", მომავალში მაინც მოიტანს ნაყოფს,—„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება"—და მის შემდგომი მოძმისა მისსა გზის სიძნელეს გაუადვილებს.

ია. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

სული ახალის საქართველოსი

(ნ. ბარათაშვილი)

თანამედროვე „ბედი ქართველისა" „წინაპართ საფლავების" ობლობა, საქართველოში გამეფებული უზნობა, უაზრობა და მთლად თანამოძმეთა ცხოვრების გათახსირება განსაკუთრებით უხუთავდა სულს პოეტს, შავის ნისლით ბურავდა მას, ისედაც თალხს, სულს და „შავად მღელვარე" აზრს.

ცნობილია, რომ საბოლოო უიმედობა და უსასოება სიკვდილია ადამიანის სულისა, რომ ეძარო პესსიმიზმი წამლავს შემოქმედებას, ეხშობს აზროვნებას და მძიმე ლოდად აწვება მთელს ადამიანის არსებას. ვისაც სურს სასიცოცხლო ნიშან-წყალი შეინარჩუნოს, მან უნდა ეუცილებლად ღირსეული ცხოვრების მიზანი მონახოს, დაისახოს.

ნ. ბარათაშვილმაც, რადგანაც თვის არსებაში გრძნობდა კიდევ საკმაოდ სასიცოცხლო ძალას, სარწმუნოებრივ განცდაში დაიწყო ძიება ცხოვრების გამაშუქებელ მიზნისა და მისი ტკივილების დამამაებელ მალამოსი. იგი ახლა, როგორც შვილი „შეცდომილი", შესთხოვს ღმერთს — სულიერს მამას—გაუცხოველოს სასოება, მოაწყუროს კვლავ ნეტარება სასუფეველისა და გაჰხადოს ღირსი სამოთხის მშვენიერებისა

„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა
წყალთაგან შენთა,—
შეეხოვს მგოსანი ღმერთს,
დამინთქე მათში სალმობახი გულისა
სენთა!
არ დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა
ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა" („ჩემი ლოცვა").

პოეტი იმედოვნებს, რომ ღერთი—ეს ყველა მაშვრალთა და „ცდომილთათვის" „ცხოვრების წყარო"—განუთებს მასაც ცხოვრების ღღე, „შ-ვებედისაგან დადამეულს"; უხვად „მოჰფენს შვების სხივს მის გულსა კვალად", კვალად აღუტენს გულის სურვილს მიყრუებულსა და განუახლებს ნიტერების ღღეებს წარსულსა", ე. ი. კვლავ ალუგზნებს იმედებს, კვლავ გასროლა და ხალხი მოითიბა. შემდეგ დაიწყო კვლავ არეული სროლა.

— ამხანაგებო! რას შვრებით? ამხანაგებო! და არც კი დაეთავება ეს სიტყვა, რომ იგი მკვდარი დაეცა თოვლში—ეს იყო ბოლშევიკი მეზღვაური. მეზღვაურის მკერდზე მოჰკლეს 8 წლის ბავშვი.

თოვლი შეიღება ალისფერ ლაქებით, ქვაფენილები მოიფინა დაჭრილ-დახოცილებით. „გამარჯვებულები" გაიფანტნენ, ხოლო გვამები ორი საათის შემდეგ აკრიფეს ჯარისკაცებმა. დაახლოვებით მოკლულია და დაჭრილი 70 კაცი. ზოგი დაჭრილი სახლში გაიქცა. ამავე დროს ამ უბედურობის მსხვერპლი—წითელგვარდიის უფროსი—ბოლშევიკი ლაზარევი, შეიპყრო მილიციონერმა-ჯარისკაცმა, დაჩხა ხმლით და შემდეგ ტყვიით მოუსპო სიცოცხლე. ასე დასრულდა ბოლშევიკების მიერ ჩადენილი შემაძრწუნებელი ამბავი კოლომნაში.

უკანასკნელი დეპეშები

ამიერ-კავკასიის ხეიმს დეპეშით ატყობინებენ ასალბაიაზეთიდან: შეიარაღებული ადუულახის თათრები დაეხსნენ მალაკანთა ხოფელს ნადეედინს. მალაკნები თხრილებში არიან ჩასაფრებული და ხოფლის აოხრებას არ ანებებენ. განუწყვეტელი სროლაა. მალაკნების მხრივ არიან მოკლული და დაჭრილები.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ხეიმის შემადგენლობა.** ამიერ-კავკასიის სეიმში იქნება სულ 94 დეპუტატი. აქედან მენშევიკი—33, კადეტი—1, ესერი—5, დაშნაკცუტუნი—25, ბოლშევიკი—4, ფედერალისტი—1, სომხური კადეტთა პარტიის—1, ეროვნულ-დემოკრატი—1, მაჰმადიანთა პარტიების №10—27, №11—4, №12—7, №14—3 იანვრის 26 შესდგა სეიმის მოწვეული ბიუროს სხდომა, რომელზედაც დაადგინეს, რომ სეიმის სხდომები სასახლეში მოხდეს. აქვე იქნება მოთავსებული სეიმის კანცელარია.

◆ **პროვოკაციათა ბრძოლა.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა საქართველოს საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო კომისრებს: საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს

ბოეტის „სატრფო" არა ჰგავს ჩვეულებრივს ლამაზს, ცქრიალას, სარო ტანადს, ვნების ცეცხლით აღგზნებულს „კეკელა" ქალს. საოცნებო სატრფო „მოწყენილია"; მისი თვალნი „მშვენიერნი ცრემლით ჰკრთიან" („სატრფოს), მაგრამ ამავე დროს ამ სახეს „ზნიურ სიცხოველე აცისკროვნებს" („აღმოხდა მნათი"); საზოგადოდ, ყოველივე თვისი თვისებებით იგი განირჩევა „მომაკვდავ ბანოვანთაგან" და ციურ არსთ „დაეედარება": იგი უმანკო და უმწიკვლოა, როგორც „მშვენიერის ცის ცვარი" („არ შეკიქონო, სატრფოვ"); „უბიწოა", როგორც ციური სული („ქეთევან"); „გულკეთილია", როგორც ღვთაება („თავ-ეჭ-ძის ასულს") ასეთ იდეალურ და სიწმიდით გაცისკროვნებულ სატრფოს სახეს უანგაროდ ეთაყვანება და უმდერის მგოსანი. არაფერს ხორციელს, მიწიერს, ვნებათა აშშელს და გამდიზიანებელს ადგილი არა აქვს ამ უმაგალითო ტრფიალებაში. ეი რა სიტყვებით მიმართავს მგოსანი თავის სატრფოს:

„არ შეკიქონო, სატრფოვ, შენსა
მგოსანსა გულის თქმა.
„უკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავ-
თა გრძნობის გამოთქმა.

ნ. ბარათაშვილი ზედმიწევნით ამაღლებს, აზიციერებს და მარადობის შარავანდედით ეგვირგვინებს ტრფიალობის გრძნობას. მისის აზრით, მხოლოდ ასეთი ტრფიალება აკავშირებს ადამიანებს სულიერათა; მხოლოდ იგი ანათლებს ყოველ გრძნობას და ჰქმნის ისეთს სულიერ განწყობილებას, რომელიც „უტკბესია სასუფეველისა". ეს თვისი მაღალი აზრი ტრფიალობის და საზოგადოდ მშვენიერების შესახებ ნ. ბარათაშვილმა შეუდარებელის სიღრმით და ესთეთიკურ-ფილოსოფიურ ღრმა განსჯარეტით გამოთქვა, გადმოაქანდაკა ლექსში: „რად ჰყვედრი კაცსა". ეი ეს საუცხოვო ნიმუში აზრთა ლირიზმისა:

„მშვენიერება ნათელია, ზეცით მო-
სული,
რომელითა ნათლდება ყოველი გრძნობა,
გული და სული,
და კაცთ შორის, ვით კერძოსა ღვთაებ-
ბისა,

რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი
ტრფობისა?
თვით უკვდავება ბშვენიერსა სულში
მდგომარებს,
მას ვერც შემოხვევა და ვერც ხანი
ვერ დააბერებს.
ხოლოდ კავშირი ესრეთთა სულთა
შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად და-
მტკიცებულსა!
ხოლოდ მათ შორის არის გრძნობა,
ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სა-
სუფეველი!
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვე-
ნიერება,
და უკვდავებით აგვირგვინებს ჰეშმა-
რიტება".

აქ, როგორც ხედავთ, მთელი ფილოსოფიაა სიყვარულისა და მშვენიერებისა. აქ თქვენ წინ გადაშლილია ჭეშმარიტი, უტყუარი და კაცობრიობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში აწონილ-დაწონილი და მიღებული შეხედულება და განცდა ტრფობისა და მშვენიერებისა. ფორმა კი, რომელშიც ეს აზრი და შეხედულობაა გამოთქმული, თავის მოხაზულობით, სადებავთა სიმშვენიერით, გამოჭკვეთით და მასთან აზრთა ლირიზმით შეუდარებელი და უბადლოა არამც თუ ქართულს ლიტერატურაში,—სხვა ერთა ლიტერატურაშიაც.

მხოლოდ ბარათაშვილს—აზროვნების და ღრმა განსჯარეტის იშვიათს ბატონს—შეეძლო, ღონე შესწევდა, რომ ასე გამოეკვეთა, ასეთს საუცხოო ხელოვნურს სამოსელში—წარმტაც ფორმაში გაეგზავნა თვისი აზრი და ფილოსოფიური განსჯარეტა.

ის, რაც ესთეთიკოსისა და ფილოსოფოსისთვის სამძიმოა გაარკვიოს და ახსნას მთელს ტომში,—ეს ჩვენმა მგოსანმა ჯადოსნურის მოხერხებით და ოსტატობით რამოდენიმე ტაეპში გაალვარა და გამოჭკვეთა. აზრთა ლირიზმი ლექსში: „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო"... უმშვენერესს სიმაღლემდეა აყვანილი!

რათა ყველასათვის უფრო ცხად ჰყოს თვისი შეხედულობა იდეალურ ტრფობაზე, მგოსანი ამ უკანასკნელს ირისპირებს ხორციელ, ფიზიოლო-

---

საათზე სამეურნეო ბანკში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის წევრთა კრება. კრების საგანია: ა) მოხსენება კონფერენციის შესახებ, ბ) მიმდინარე მომენტი, გ) არჩევნები საარაიონო კომიტეტის თავმჯდომარისა და რამდენიმე სხვა წევრთა.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება.** ხვალ, იანვრის 31, საღამოს სწორედ 5 საათზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს უმთავრესად საკითხი ხაჭართველოს ჯარების შესახებ. საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

◆ **სამხედრო კავშირის ხალამო.** თებერვლის 4-ს ქართული სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი ქართულ კლუბში საღამოს მართავს.

◆ **სატეხნიკო საზოგადოების კრება.** დღეს, 30 იანვარს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სამთო-ქიმიურ სექციის სხდომა. 1) ასარჩევია წარმომადგენელი სატეხნიკო სექციაში, 2) მოხსენებას გააკეთებს ინჟ. მეძმარიაშვილი შემდეგ თემაზე: „მინერალური სიმდიდრე საქართველოსი" და სხვა საგულისხმო საკითხები.

შეცდომის გასწორება

მორიგ ნომერში დაბეჭდილია „ქართული უნივერსიტეტის გახსნა", სადაც კორექტურული შეცდომები სავსებით სცვლიან წერილის აზრებს. გასწორებთ უმთავრესს: დაბეჭდილია: „ქართველი ერი ბავშვური ენტუზიაზმით შეჰყურებს განათლების ახალს ტაძარს, სადაც იეზეკილისებურ უფრო, ხარისთავა ქერუბიმები კი არ იმყოფებენ, ძველი რუთინის ყრუ და მუნჯი ქერუბნი, არამედ მშობლიო კერით ნაწრთობ გამოზრდილი თავგანწირული მეჩირადღენენ". უნდა იყოს: „ტაძარი, სადაც იეზეკილისებური ტაძრის უფრთო, ხარიხთავა ქერუბიმები კი არ იფრენენ, ეს ძველი რუთინის ყრუ და მუნჯი ქერუბნი, არამედ" და სხვ. შემდეგ დამახინჯებულია სახელები „ლაპკაზი, ბერტპოლე", უნდა იყოს: „ლაპლასი, ბერტჰოლე" და სხვ.

მდგომარეობა ადერბეიჯანში

◆ **ოსმალთა მუქარა.** რუსეთის საელჩო სპარსეთში დეპეშით აუწყებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ ადერბეიჯანში ამ ჟამად გერმანელთა და ოსმალთა წარმომადგენლები დიდ აგიტაციას ეწევიან რუსეთის წინააღმდეგ. სომხების ცნობილ [illegible] წეებს ხელმოწერილი წერილები მოუვიდათ, ავტორნი იმუქრებიან სომხურ ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენის გამო. ასეთივე მუქარის წერილებში მოსულიათ ყველა ნეიტრალ და მოკავშირე სახელმწიფოთა კონსულებს, თუ არ შესწყვეტთ სომხურ პოლკების შედგენაში მონაწილეობას გაგანადგურებთო.

◆ **ოსმალეთის მთავრობა და ახირიის პატრიარქი.** რუსეთის საელჩო სპარსეთში დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ ახირიის პატრიარქს მარ-შიმონს ოსმალეთის მთავრობისაგან წერილი მოუვიდა, რომელშიც წინადადებას აძლევენ მას ომი გამოუცხადოს რუსეთს და დაუყოვნებლივ მოსულში გადავიდეს. წერილში ნათქვამია, თუ პატრიარქი ამ წინადადებას მიიღებს, ოსმალეთის მთავრობა კვლავ მისი წყალობელი იქნება წინანდებურად. ოსმალეთის მთავრობის წერილი პატრიარქისთვის ქურთების ცნობილ ბელადს სიმქოს მიუტანია.

თავგრიზში, როგორც იქიდან იტყობინებიან, სურსათის საკვებობა სრულებით არ არის. პირველ საჭიროების საგნები თანდათან [illegible]. რუსულ მანეთიანის ფასმა ბოლოდროს აიწია, რაც იმით აიხსნება, რომ ეხლა კავკასიიდან და რუსეთიდან დიდძალი საქონელი შეაქვთ სპარსეთში. რუსული მანეთიანის ფასმა ბაზაზედე მიაღწია. რუსის ჯარი თანდათან გამოდის ადერბეიჯანიდან რაც რამ სახაზინო ქონებაა, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყვეტილთ მიიღონ გმირული ზომები, რომ მოგვწესრიგოთ ცხოვრება. ამიერ კავკასიის კომისარიატს არ ძალუძს თავი გაართვას ყველა საქმეებს. ჩვენ გვეუბნებიან: ამ კრებამ მხოლოდ მთავრობა უნდა მოაწყოსო. გამოსცემს თუ არა ეს მთავრობა კანონებს? თუ არა, მაშინ არავითარი რეფორმის ცხოვრებაში გატარება არ შეიძლება. თქვენ მეტყვით ამ მთავრობასაც ისეთივე უფლებები უნდა ეძლეს, როგორიც აქვს ამიერ კავკასიის კომისარიატსო. მაგრამ რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთივე უფლებები თვით ამ მთავრობის წარმომშობ წყაროს—სეიმს? გამოდის რომ ჩვენ უნდა შევადგინოთ მხოლოდ მთავრობა და შემდეგ დავიშალოთ. როცა ამას ამბობს ჩემოდანოვი, არ არის გასაკვირალი, იგი არ იცნობს ამიერ კავკასიას. ეს თუნდაც იმით მტკიცდება, რომ მან სთქვა: ამიერ კავკასიაში 3 მილიონი მცხოვრებია. მაგრამ, როცა ამასვე ამბობს დაშნაკცუტიუნების პარტიის წარმომადგენელი, ეს ჩვენთვის პირდაპირ გაუგებარია. ამიერ კავკასიაში საფრთხე მოსალოდნელია ერთა შორის დამოკიდებულების გამწვავებით. და თუ ჩვენ არ გვეყოლა საერთო მთავრობა დაგვიღუპებით. თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ სეიმი მოიმოქმედებს რამეს. რომელიმე ერის წინააღმდეგ. მაშინ ილაპარაკეთ სეიმის პროგრამაზე. წარმოსთქვით სიტყვები საპროგრამო და არა ტაქტიკის შესახებ.

მე ჩემოდანოვთან შეკამათება საჭიროთ არ მიმაჩნია. ამიერ კავკასიის ერები ეს ის ერებია, რომლებსაც არც ერთი ადგილობრივი გამოსვლა არ მოუწყვიათ რუსეთის წინაშე. (ტაში). რუსეთში არც ერთ ერს არ დაუცდია დამფუძნებელ კრებისთვის, დაუცადეს მხოლოდ ამიერ კავკასიის ერებმა. სომხებმა უნდა იცოდეს ეს. მაშასადამე, საჭიროა პროგრამა. ამ მხრით ჩვენ ერთგვარი გამოცდილება გვაქვს. თუ ანგარიშს გაუწევთ სინამდვილეს, მაშინ მემარჯვენე პარტიებზე აქ ლაპარაკი არ დაგვჭირდება. მენშევიკების პარტია არ გაგაუზიარებს თავის პროგრამას, იგი შეიძლება მთავრობის ოპოზიციაში აღმოჩნდეს. აქ ილაპარაკეს ეროვნულ საბჭოებზე. ისინი ზოგჯერ გამოდიან მთავრობის როლში, მაგრამ რევოლიუციონური ორგანიზაციებიც ხომ კისრულობენ ზოგჯერ მთავრობის როლს. მაშასადამე, საჭიროა ერთი მთავრობის შექმნა და სხვა ორგანიზაციებს უნდა მიეცეს ლეგალური კალაპოტი. მიზანშეწონილობა მოითხოვს ადგილობრივ მთავრობის შექმნას და საჭირო რეფორმების განხორციელებას. მაგრამ ეს შესაძლებელი იქმნება მაშინ, როცა ერები ერთად, შეთანხმებით იმუშავებენ. ურთიერთ ბრძოლით არაფერი არ გაკეთდება. და თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ, საერთო მთავრობა დაგიღუპებით. თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ სეიმი მოიმოქმედებს რამეს. რომელიმე ერის წინააღმდეგ. ეს ის ერია, ეს ის ერია, ეს ის ერია,